

ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივის (EED) მე-7 მუხლი გამოცდილება და გამოწვევები

სამუშაო შეხვედრა ენერგოეფექტურობის
შესახებ ევროკავშირის დირექტივის (EED) მე-7,
მე-8 და მე-16 მუხლებთან დაკავშირებით
ინდუსტრიაზე ფოკუსირებით



ავსტრიის ენერგეტიკის სააგენტო (AEA)
გრეგორ თენიუსი | 2018 წლის 5 ივნისი, თბილისი

მე-7 მუხლის მიმოხილვა

მე-7 მუხლი ითვალისწინებს საბოლოო ენერგო დანაზოგებს

ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემები ენერჯის დისტრიბუტორებისთვის და/ან პროვაიდერებისთვის ან

პოლიტიკის ფარგლებში გათვალისწინებული ალტერნატიული ღონისძიებები, ენერგოეფექტურობის ეროვნული ფონდის ჩათვლით (მუხლი20)

- საბოლოო მომხმარებლების მიმართ ენერჯის წლიური რეალიზაციის **წლიურად 1,5% ახალი დანაზოგების** ექვივალენტური მიზანი
- ტრანსპორტი შესაძლებელია არ იყოს გათვალისწინებული სამიზნე კალკულაციაში
- ღონისძიებები სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი **საბოლოო მომხმარებლებს** შორის
- გამოხატულია საბოლოო ან პირველად ენერჯიაში



ზოგიერთი დამატებითი დებულება

მოქნილობა მიზნის მისაღწევად (მაქსიმუმ 25%)

- მიზნის გაზრდა დროთა განმავლობაში (2014 წელს არსებული 1% -დან 2020 წელს 1,5%-მდე)
- ETS სექტორებში ენერჯის რეალიზაციის მოცულობების გამორიცხვა
- დანაზოგების დაშვება პირველად ენერჯიაში, რომელიც უნდა იქნას გამოთვლილი
- საწყის ეტაპზე განხორციელებული ქმედებების მხედველობაში მიღება (1.1.2009 წლიდან)

არასავალდებულო დებულებები

- სოციალური მიზნების გათვალისწინება
- მესამე მხარეებისგან მიღებული დანაზოგების დათვლა ენერჯო დანაზოგების ყოველწლიურად გამოქვეყნება



ვალდებულების სქემების ალტერნატივები

1,5% დანაზოგების მიზნის ექვივალენტობა

მაგალითები:

- გადასახადები
- დაფინანსების სქემები
- რეგულაციები
- ნებაყოფლობითი შეთანხმებები
- სტანდარტები და ნორმები
- ეტიკეტირების სქემები
- ტრენინგი და განათლება
- ენერგოეფექტურობის ეროვნული ფონდი (მუხლი 20)

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა იყენებს ვალდებულებების სქემებისა და ალტერნატივების ნაზავს.



მუხლი 7 და დანართი V – ძირითადი პრინციპები

1. დანაზოგები უნდა იყოს დამატებითი ხასიათის
2. დანაზოგები უნდა იყოს დემონსტრაციულად მატერიალური
3. ორმაგი ჩათვლა თავიდან უნდა იქნას აცილებული
4. მონიტორინგისა და გადამოწმებისგან დამოუკიდებლობა
5. დანაზოგების ვადა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული
6. ჯარიმები დარღვევის შემთხვევაში



ქმედებები უნდა წარმოადგენდეს თვალსაჩინო მასალას დამატებითი დანაზოგების მისაღწევად



- ევროკავშირის წევრმა სახელმწიფომ უნდა აჩვენოს (ანუ მოახდინოს იმ ფაქტის დემონსტრირება), რომ კონკრეტულმა მხარემ საკუთარი წვლილი შეიტანა (მაგალითად, წარმოადგინა მასალა) კონკრეტულ ქმედებაში / ენერგოეფექტურობის ღონისძიებებში
- "დამატებითობის პრინციპი": დანაზოგები უნდა გასცდეს ევროკავშირის რეგულაციებში გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს

გადაწყვეტილებები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში:

- სუბსიდიების გადახდა ხდება მხოლოდ ინვოისის წარდგენის შემდეგ
- პროვაიდერსა და საბოლოო მომხმარებლის შორის ფორმდება თანამშრომლობის შეთანხმება
- შენატანი ინდივიდუალურია და განკუთვნილია საბოლოო მომხმარებლისთვის
- დანაზოგის გაანგარიშება: საბაზისო პარამეტრი, რომელიც ასახავს "დამატებითობის პრინციპს"



UNITED NATIONS
INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION

ძირითადი შეკითხვა:

რა ღონისძიებები და დანაზოგები
შესრულდებოდა ნებისმიერ
შემთხვევაში?



თვალსაჩინო მასალა საფრანგეთის ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემაში



- კანონპროექტი ითვალისწინებს იმის მტკიცებულებას, რომ ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული ღონისძიებები სისრულეში იქნა მოყვანილი.
- ვალდებულმა მხარემ უნდა შეასრულოს "წამყვანი როლი" ღონისძიებების სისრულეში მოყვანაში, ანუ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს ენერჯის დაზოგვაში (პირდაპირ ან არაპირდაპირ).
- წახალისებები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შენატანად, მოიცავს ფინანსურ წახალისებებს, კონსულტაციასა და გაფართოებულ გარანტიებს.
- ენერჯის დაზოგვაში წვლილის შეტანა უნდა იყოს ინდივიდუალური და გათვალისწინებული საბოლოო მომხმარებლისთვის და სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელებამდე.
- ვალდებული მხარის მიერ შესრულებული "წამყვანი როლი" უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობით, დოკუმენტური სერტიფიკატების სახით მემონტაჟებისა და მომხმარებლებისგან.



ორმაგი დათვლა

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს ენერგო დანაზოგების ორმაგი დათვლა, პოლიტიკის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების ან ინდივიდუალური ქმედებების გავლენის განხილვისას.

- ორმაგი დათვლა დასაშვებია ერთი პოლიტიკის ფარგლებში წარმოდგენილი ღონისძიების შემთხვევაში (მაგალითად, სხვადასხვა საფინანსო ორგანოების მიერ საქვების შეცვლის სუბსიდირება)
- ორმაგი დათვლა დასაშვებია სხვადასხვა პოლიტიკის ფარგლებში გათვალისწინებულ ღონისძიებებს შორის (მაგალითად, საქვაბე შეიცვალა ენერგო აუდიტის ჩატარების შემდეგ - სად ხდება დანაზოგების მიწერა?)



ორმაგი დათვლა - რა უწყობს ხელს?

პოლიტიკის სქემების წესები

- დასაშვებობის შესახებ
- მოთხოვნილი მონაცემების შესახებ

მონაცემების შეგროვება განხორციელებული პროექტებისა და საფინანსო ინსტიტუტების თაობაზე - ეს შეიძლება იყოს გამოწვევა

აღნიშნული მონაცემების ადმინისტრირება ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში ამცირებს ორმაგი დათვლის რისკს.



ხორვატიამ შეიმუშავა სისტემა ენერგო დანაზოგების მონიტორინგის, გაზომვის და ვერიფიკაციის მიზნით



- აღნიშნულ სისტემას იყენებს ყველა სამთავრობო ორგანო, კომპანია, რომელიც ასრულებს ენერგოეფექტურობის მომსახურების ხელშეკრულებებს, ასევე ის ორგანოები, რომლებიც ახდენენ ენერგოეფექტური ღონისძიებების თანადაფინანსებას.
- მონიტორინგისა და ვერიფიკაციის პლატფორმა წარმოადგენს ვებ ინსტრუმენტს, რომლის ადმინისტრირებასაც უზრუნველყოფს ერთი ეროვნული ადმინისტრატორი.
- ორმაგი დათვლის თავიდან აცილება ხდება განაწესით, რომელშიც გაწერილია, თუ ვინ აგებს პასუხს მონიტორინგსა და ვერიფიკაციაზე, ვის შეჰყავს მონაცემები, რა ინფორმაციაა საჭირო, როდის და როგორ უნდა მოხდეს ენერჯის დანაზოგების შესახებ მონაცემების შეყვანა პლატფორმაში და როგორ ეხმარება აღნიშნული დანაზოგები შემსრულებელ მხარეებს.
- წარმოდგენილი ინფორმაციის ორმაგ შემოწმებას უზრუნველყოფს ადმინისტრატორი.
- პლატფორმა აღჭურვილია "სიგნალიზაციის სისტემით", რომელიც ახდენს ღონისძიებების ან ინდივიდუალური ქმედებების ორმაგი დათვლის პოტენციური რისკების ანგარიშგებას.



მონიტორინგი და ვერიფიკაცია | ძირითადი საკითხები

- სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პროპორციის და წარმომადგენლობითი მაგალითის დამოუკიდებელი შემოწმება
- პროდუქტთან, მომსახურებებსა და ღონისძიებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარისხის სტანდარტების დაცვა
- ადმინისტრატორები
ენერგეტიკის სააგენტო | სამინისტრო | მარეგულირებელი |
მესამე მხარე (არასამთავრობო)




მონიტორინგი და ვერიფიკაცია | წარმატების ფაქტორები

- სტანდარტიზებული ანგარიშის წარდგენის პროცედურები და ანგარიშგების ნიმუშები
- ნებადართული ზომების ნათელი განმარტება
- შეფასებისა და დოკუმენტაციის მოთხოვნების ნათელი განმარტება
- სტანდარტული შეფასების მნიშვნელობების გამოყენება სტანდარტული ღონისძიებებისთვის (განსაკუთრებით შინამეურნეობებში) და ყველა შესაძლო შემთხვევაში შემოთავაზებული დანაზოგის მიდგომით სარგებლობა
- შემოწმებების ჩატარება დოკუმენტურად ნაცვლად ადგილზე ვიზიტისა, შესაძლებლობის შემთხვევაში
- არა-დოკუმენტური პროცესის დანერგვა
- მონიტორინგის პროცესის ავტომატიზაცია (მაგალითად, მონაცემთა ბაზების გამოყენება)
- მკაფიო და გამჭვირვალე წესები ადეკვატურად ეცნობება ყველა დაინტერესებულ მხარეს




ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მე-7 მუხლის იმპლემენტაცია

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მე-7 მუხლის იმპლემენტაცია



- მხოლოდ EEO სქემა
4 ქვეყანა: ბულგარეთი, დანია, ლუქსემბურგი, პოლონეთი
- EEO სქემებისა და ალტერნატიული ღონისძიებების კომბინაცია
14 ქვეყანა: ავსტრია, ბელგია, ხორვატია, ესტონეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, მალტა, სლოვენია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი
- ალტერნატიული ღონისძიებები
9 ქვეყანა: ჩეხეთის რესპუბლიკა, კვიპროსი, ფინეთი, გერმანია, ნიდერლანდები, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, შვედეთი

მე-7 მუხლთან დაკავშირებული ღონისძიებების რიგი სხვადასხვა კატეგორია - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გეგმები



ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ალტერნატიული ღონისძიებების მიმოხილვა




	EEOs	ენერჯი/CO ₂ გადასახადები	სუბსიდიები, გრანტები და სესხები	ფისკალური (საგად. შეღავათი)	EE ფონდი	რეგულაცია და სტანდარტები	ინფორმაცია, განათლება და ტრენინგი	ნებაყოფლობითი შეთანხმება	სხვა ღონისძიებების შეჯამება	ალტერნატიული ენერჯის შეჯამება
ავსტრია	ახალი	2	5						1	8
იტალია	არსებული		1	1						2
საფრანგეთი	არსებული	2	2	1	1		1			7
გერმანია		4	7			3	2			16
საბერძნეთი			14	1		2	1			18
შვედეთი		1								1
ესპანეთი	ახალი	1	6		1		2			10
ნიდერლანდები		2	8	4		3	4	10		30
დიდი ბრიტანეთი	არსებული	2	6			7		2		17

წყარო: ENSPOL

- მე-7 მუხლის იმპლემენტაციისას ალტერნატიულ ღონისძიებებზე სრული დამოკიდებულება
- თანხვედრის გამოწვევები



მე-7 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკის ტიპები ყოველი სექტორის მიხედვით



წყარო: ENSPOL

პოლიტიკასთან დაკავშირებული არჩევანი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში

- ალტერნატიული ღონისძიებები ნაცვლად სამიზნე მაღალხარჯიანი ღონისძიებებისა (მაგალითად, კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, კედლის სრული იზოლაცია)
- ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემები (EEOS) და ნებაყოფლობითი შეთანხმებები ნაცვლად სამიზნე დაბალხარჯიანი ღონისძიებებისა
- ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემები (EEOS) შედარებულია სუბსიდიებთან მათი შედეგების მიხედვით
- გადასახადები, საინფორმაციო პროგრამები და სტანდარტები და ნორმები ავსებს სხვა პოლიტიკას
- შესყიდვების სუბსიდიები გამოიყენება ფართოდ და კომბინირებულია სხვა პოლიტიკასთან
- რეგულაციები კომბინირებულია სხვა ინსტრუმენტების ტიპებთან
- ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში სტანდარტები და ნორმები სცილდება ევროკავშირის მოთხოვნებს და შეიძლება გამოყენებულ იქნას მე-7 მუხლთან დაკავშირებით

ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემების (EEOS) მნიშვნელობა ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივის იმპლემენტაციისას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში

“ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემები (EEOS) წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ დამტკიცებული პოლიტიკის ფარგლებში წარმოდგენილი ღონისძიების ყველაზე მნიშვნელოვან ტიპს ენერჯის დაზოგვის თვალსაზრისით – ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში მოსალოდნელია ენერჯის ჯამური დანაზოგის 40%, რომლის გენერირებაც უნდა მოხდეს ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემების (EEOS) იმპლემენტაციიდან, რაც აღემატება პოლიტიკის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიების ნებისმიერ სხვა ტიპს”.

[Ricardo AEA et al., თებერვალი 2015 – DG ENER]

მიზეზები:

- გაურკვეველობა არსებული ინსტრუმენტებით მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით
- ენერგო ბაზრებზე არსებული ახალი რეალობით რთულია არსებული სქემების მოპოვება
- საჯარო ფინანსების არარსებობა, რის შედეგადაც ბაზარს დარჩება უფრო მეტი ძალაუფლება თვითდაფინანსებისთვის



ენერგოეფექტურობის ვალდებულებების სქემებიდან (EEOS) მიღებული ცოდნა

- ამჟამად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ევროპული პოლიტიკის ნაზავში
- მოქნილი ინსტრუმენტი: ადაპტირება ეროვნულ გარემოებებსა და პოლიტიკის პრიორიტეტებთან
- სქემებში არსებული სხვაობები: მაგალითად, ვალდებულებების მხარეების რაოდენობა და ტიპები, უფლებამოსილი სექტორები / პროექტები, მონიტორინგი, ფულადი სახსრების მოზიდვის მექანიზმი, მიზნების დასახვის პარამეტრისთვის ...
- მნიშვნელოვანია: სწავლის პერიოდი: იწყება დაბალი სამიზნით და სამიზნეები იზრდება წლებთან ერთად
- ენერგოეფექტურობის ვალდებულებების სქემა (EEO) ხელს უწყობს ენერგოეფექტურობის პროფილის გაზრდას
- ხელს უწყობს ხარჯეფექტიანი ღონისძიებების სისრულეში მოყვანას → რა მოხდება, როდესაც შესრულდება ყველაზე მარტივი ღონისძიებები?
- შესაძლებელია თუ არა ენერგოეფექტურობის ვალდებულებების სქემებმა (EEOS) მოახდინოს ინვესტიციების მობილიზება კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებში?
- ენერგო პროცესებზე გავლენის განსაზღვრა ხშირად რთულია (გამჭვირვალობის ნაკლებობა)



ევროკავშირის წევრი სახელმიწოდებიდან წარმოდგენილი მაგალითები

თეთრი სერტიფიკატის სქემა იტალიაში

- სქემა შემუშავებულ იქნა 2004 წელს და აღნიშნული დროიდან მოყოლებული რამდენჯერმე იქნა ადაპტირებული (სწავლა)
- თეთრ სერტიფიკატებს (საბაზრო) გასცემს შესაბამისი უწყება განხორციელებულ ენერგოეფექტურ ღონისძიებებთან / პროექტებთან დაკავშირებით
- ვალდებული მხარეები: ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის დისტრიბუტორები 50 000-ზე მეტი საბოლოო მომხმარებლით
- ვალდებულმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ენერგო დანაზოგების / სერტიფიკატების გარკვეული ოდენობის მოწოდება ღონისძიებებიდან, რაც პროპორციული იქნება მათ მიერ განაწილებული ენერჯისა.



თეთრი სერტიფიკატი სქემა იტალიაში

მხარეები თეთრი სერტიფიკატების გაცემასთან დაკავშირებული პროექტების წარდგენის უფლებამოსილებით არიან:

- ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის დისტრიბუტორები 50 000-ზე მეტი საბოლოო მომხმარებლით (შემდგომში - "ვალდებული მხარეები") და მათი მიერ კონტროლირებადი კომპანიები
- არა-ვალდებული ენერჯო დისტრიბუტორები
- ენერჯო მომსახურებების სექტორში მომუშავე კომპანიები (ESCO)
- კომპანიები ან ორგანიზაციები, რომელთაც ჰყავთ ენერჯო მენეჯერი ან გააჩნიათ ISO 50001 სტანდარტის მიხედვით სერტიფიცირებული ენერჯის მართვის სისტემა.



თეთრი სერტიფიკატის სქემა იტალიაში

2015 წელს სამრეწველო სექტორში გაიცა თეთრი სერტიფიკატების 64%

- 51% სამრეწველო გათბობა: სითბოს გენერირება ან აღდგენა გაგრილების, გაშრობის, წვის ან დნობისთვის
- 11% სამრეწველო ეფექტურობა: ეფექტური მშრალი სისტემები (ძრავები და ა.შ.), ავტომატიზაციისა და სიმძლავრის ფაქტორთან დაკავშირებული ღონისძიებები
- 5% სამრეწველო გენერირება: ელექტროენერჯის წარმოება განახლებადი წყაროებიდან, სითბოს აღდგენა ან კოგენერაცია
- ზემოაღნიშნულის გარდა 33% , საწარმოო პროცესების ენერჯის ოპტიმიზაციისა და დანადგარების განლაგებისათვის, რაც გათვალისწინებულია ენერგომოხმარების უწყვეტი შემცირებისთვის ნორმალიზებული წარმოების რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით



ენერგოეფექტურობის შესახებ შეთანხმებები ფინეთში

ინდუსტრიები ენერგოეფექტურობის შესახებ შეთანხმებები

ENERGY EFFICIENCY AGREEMENT

ინდუსტრია
 ინტენსიური ენერგო მრეწველობა |
 საკვები და სასმელის მრეწველობა |
 ქიმიური მრეწველობა |
 ტექნოლოგიური მრეწველობა | ხე-
 ტყის მრეწველობა | მრეწველობა -
 ზოგადი

ენერგო სექტორი
 ენერჯის წარმოება |
 ენერგო მომსახურებები

მომსახურების სექტორი
 კომერციული სექტორი |
 სასტუმრო სა და რესტორნების
 სექტორი | მრავლებით ვაჭრობა და
 შეკეთება | მომსახურება -
 ზოგადი

- ხანგრძლივი ტრადიცია ფინეთში - პირველი სქემა გაშვებულ იქნა ექსპლუატაციაში 1997 წელს
- დარგობრივი ნებაყოფლობითი შეთანხმებები - არასავალდებულო
- განიხილება როგორც მოქნილი ინსტრუმენტი, ასევე როგორც ალტერნატიული და დამატებითი ინსტრუმენტი რეგულაციებისა და გადასახადების მიმართ
- სამიზნე: ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და ენერგო ხარჯების დაზოგვა კომპანიებში
- დამატებული ღირებულება: ენერგოეფექტურობის მოთხოვნების შესრულება გარემოსდაცვითი ორგანოების მიერ

ენერგოეფექტურობის შესახებ შეთანხმებები ფინეთში

ენერგო აუდიტები და ენერგოეფექტურობის ინვესტიციები (ჩვეულებრივი ტექნოლოგიების ჩათვლით) სუბსიდირებულია მთავრობის მიერ

სამიზნე: კომპანიებში ენერგოეფექტურობის უწყვეტი გაუმჯობესება → კომპანიების მოტივაციის გაზრდა, რათა შეუერთდნენ შეთანხმებებს

რაოდენობრივი დანაზოგების სამიზნეების მისაღწევად, მონაწილეებმა უნდა:

- მოახდინონ ღონისძიებების განხორციელების ორგანიზება და დაგეგმვა
- გააანალიზონ და გამოავლინონ ენერგოეფექტურობის გაზრდის პოტენციალი
- სისრულეში მოიყვანონ ენერგო ეფექტურობის გაუმჯობესების ხარჯეფექტიანი ღონისძიებები
- მხედველობაში მიიღონ ენერგოეფექტურობა დაგეგმვისა და შესყიდვისას
- მოამზადონ პერსონალი და უზრუნველყონ ენერგოეფექტურობის საკითხებზე კომუნიკაცია
- მოახდინონ ყოველწლიური ანგარიშგება



დასკვნები - მე-7 მუხლი

- განხორციელების სხვადასხვა შესაძლებლობა, თუმცა ერთგვაროვანი წესები
- მრავალჯერადი გამოწვევები ტექნიკური და მონიტორინგისა და გადამოწმების მოთხოვებთან დაკავშირებით
- ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების არსებული გამოცდილების გამოყენება - არ არის აუცილებელი “ველოსიპედის ხელახლა გამოგონება”



დამატებითი ინფორმაცია მე-7 მუხლის იმპლემენტაციის თაობაზე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში

- ENSPOL პროექტის ფარგლებში ინიცირებული ცოდნის გაზიარების პლატფორმა www.article7eed.eu/
- შეტყობინებები DG ENER-ის ვებ-გვერდის თაობაზე <https://ec.europa.eu/energy/en/topics/energy-efficiency-directive/obligation-schemes-and-alternative-measures>
- ევროპის საპარლამენტო კვლევითი სამსახურის კვლევა [www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/579327/EPRS_STU\(2016\)579327_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/579327/EPRS_STU(2016)579327_EN.pdf)
- ევროკომისიის მიერ განხორციელებული კვლევა www.cedelft.eu/publicatie/study_evaluating_the_national_policy_measures_and_methodologies_to_implement_article_7_of_the_energy_efficiency_directive/1620
- ენერჯო დანაზოგების შესახებ კოალიციის კვლევა <http://energycoalition.eu/sites/default/files/20150520%20Coalition%20for%20Energy%20Savings%20-%20Article%205%20analysis%20Report.pdf>

საკონტაქტო ინფორმაცია

გრეგორ თენიუსი
ენერგო პოლიტიკის ექსპერტი

Österreichische Energieagentur - ავსტრიის ენერგეტიკის სააგენტო

gregor.thenius@energyagency.at ტელ: +43 (0)1 586 15 24 - 145

მარიაჰილფერის ქუჩა 136 | 1150 ვენა | ავსტრია

www.energyagency.at

 @at_AEA



ავსტრიის ენერგეტიკის სააგენტო სერტიფიცირებულია ÖNORM ISO 50001:2011 და ISO 29990:2010 სტანდარტების შესაბამისად.